



ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



@SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობები

ინტელექტუალური სკუთრების დღის დახსნა და დახურვა



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

ღონისძიების გახსნა

მოკლე აღწერა	ინტელექტუალური საკუთრების დღის გახსნაზე მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს შეეძენებათ დადებითი განწყობა და მიეწოდებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდება სკოლაში ამ დღის განმავლობაში. ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა, მოიწვიოთ ცნობილი სტუმრები, რომელნიც მიმართავენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს და აუხსნიან ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობას თავისი მოღვაწეობის სფეროში, იქნება ეს ხელოვნება, მეცნიერება, ბიზნესი თუ სხვა საქმიანობა.
ასაკი	საბაზო საფეხურის მოსწავლეები
დრო/განრიგი	დაახლოებით 30 წუთი
მიზანი	გახსნის ღონისძიება: • ორგანიზატორებს აძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეებს ინტელექტუალური საკუთრების დღის მიზნები და ხედვა განუმარტონ; • ინტელექტუალური საკუთრების დღეს სასურველ განწყობას სძენს; • იძლევა შესაძლებლობას, სკოლაში მოიწვიოთ გამოჩენილი პიროვნება, რომელიც მიმართავს მოსწავლეებსა და მოსწავლეებს; • მედიას აძლევს მიმართულებას, რა მიდგომით დაიწყოს ინტელექტუალური საკუთრების დღის გაშუქება.
სწავლის შედეგები	მოსწავლეები შეიტყობენ: • რა არის ინტელექტუალური საკუთრების დღის გამართვის მიზეზი; • ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობას მოწვეული სტუმრის ცხოვრებაში; • მოსწავლის როლს ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობებში.
კომპეტენციები	• წიგნიერების კომპეტენცია • პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია • მოქალაქეობის კომპეტენცია • სამეწარმეო კომპეტენცია • კულტურული გაცნობიერებულობისა და თვითგამოხატვის კომპეტენცია
მომზადება	ინტელექტუალური საკუთრების დღის მომზადების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ისეთი სტუმრ(ებ)ის მოპოვება, ვისაც დიდი აუდიტორიისთვის მოტივის გაღვივების გამოცდილება აქვს. ასევე მნიშვნელოვანია ღონისძიებისთვის შესაფერისი სივრცის შერჩევა – ეს უნდა იყოს დიდი დარბაზი ან შეკრების ადგილი, სადაც იქნება სცენა ან ამალღებული პლატფორმა. იმავე სივრცეში შეიძლება ჩატარდეს ღონისძიების დახურვის ცერემონიალიც. საჭიროა წინასწარი შეთანხმება ადგილობრივ მედიასთან, მათი დასწრების უზრუნველსაყოფად.
რესურსები	• დიდი სააქტო დარბაზი • აუდიო-ვიზუალური მოწყობილობა მომხსენებლისთვის • წამყვანი და სტუმარი


**ინტელექტუალური
საკუთრების დღის
აქტივობის ნიმუში
Ideas Powered @
School მასალიდან**

ღონისძიება დაიწყო მამოტივირებული დებატით, რომელსაც მოდერაციას უწევდა ქალაქ ალიკანტეს ევროპული სკოლის მოსწავლე, ხოლო მონაწილეები იყვნენ EUIPO-ს მაშინდელი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ბენ ვოლდრინგი. ბენმა 13 წლის ასაკში გაკეთებული სასკოლო დავალების საფუძველზე შექმნა ონლაინ ბიზნესი, რომელიც დღეს ძალიან წარმატებულია. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლე, მასწავლებლები, მედიის და ბიზნეს-საზოგადოების წარმომადგენლები და მოხალისეები. პირველადი გამომხმარებელთა ადასტურებს, რომ გახსნამ მოტივაცია აუმაღლა მონაწილეებს და მთელი დღის წარმატებით ჩატარების წინაპირობა გახდა.



დახურვის ღონისძიება

მოკლე აღწერა	ინტელექტუალური საკუთრების დღის გახსნის ღონისძიებით დაწყების და დღის განმავლობაში მთელი სკოლის მონაწილეობით ჩატარებული აქტივობების შემდეგ კარგი იქნება, დღე დახურვის ღონისძიებით დაასრულოთ.
ასაკი	საბაზო საფეხურის მოსწავლეები
დრო/განრიგი	დაახლოებით 20 წუთი
მიზანი	ღონისძიების მიზანია: - გამოიხატოს მადლიერება ყველა მონაწილის მიმართ: მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლების, მშობლების, სტუმრების, ადგილობრივი მმართველობის წევრების და ა.შ. - შეჯამდეს ყველა ღონისძიება და აღინიშნოს, რომლები იყო მათ შორის ყველაზე წარმატებული. შეიძლება, ეს ღონისძიება გამოიყენოთ ჯილდოების დასარიგებლად, თუ მის განმავლობაში ან მანამდე შეჯიბრებები ტარდებოდა. ან შესაძლოა, ეს დრო კარგი იყოს კონკურსის დაწყების გამოსაცხადებლად. დახურვის ცერემონიალი ასევე შეიძლება გამოდგეს მოსწავლეების ყველაზე კრეატიული ნამუშევრების გასაცნობად, მაგ. მათი მომზადებული მუსიკალური ნომრის ან თეატრალური დადგმის ნაწყვეტის სანახავად. დახურვის ცერემონიალი ასევე კარგი შესაძლებლობაა, ღონისძიება ადგილობრივ ტელევიზიასა და პრესაში გაშუქდეს.
მომზადება	აირჩიეთ შესაფერისი ოთახი, სააქტო დარბაზი ან ცისქვეშა სივრცე, რომელიც კომფორტულად დაიტევს ყველა მონაწილეს. შეგიძლიათ, დღის განმავლობაში ჩაიწეროთ ინტერვიუები მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან ამ დღეს მიღებული შთაბეჭდილებების თემაზე და დახურვის ცერემონიაზე ეს ინტერვიუები ეკრანზე აჩვენოთ.
რესურსები	- დიდი სააქტო დარბაზი - აუდიო-ვიზუალური მოწყობილობა მომხსენებლისთვის - წამყვანი და სტუმარი





დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: www.ideaspowered.eu
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: IPinEducation@euipo.europa.eu



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EUGIPP
ევროკავშირის და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

 **ideas
powered**
@SCHOOL



EUIPO
EUROPEAN UNION
INTELLECTUAL PROPERTY OFFICE